სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 02- 140

30 მაისი 2016 წელი

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, სსიპ „იუსტიციის სახლი“ (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი **აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის (ფინანსების დირექტორი) მოვალეობის შემსრულებლის ავთანდილ კოხრეიძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „სი-ტი პარკ“**, შემდგომში „მიმწოდებელი“, გენერალური მენეჯერის **ბინიამინ ლაჰავის** სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, **"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის** და ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 28 სექტემბრის N26.01.1232 დადგენილების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტია **შემსყიდველის საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, ავტოსადგომების მომსახურებების** შესყიდვა **(CPV 63712400).**

1.2. ხელშეკრულების საგანია სსიპ „იუსტიციის სახლი“-ს ბალანსზე რიცხული **1 (ერთი)** ცალი მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის (KIA RIO სახ/ნომერი CC225GG საიდ/ კოდი KNADN512AG6782795 **ექვსთვიანი ავტოსადგომის მომსახურების** შესყიდვა და შესაბამის პარკირების სისტემაში გააქტიურება.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება **დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 25.00 (ოცდახუთი) ლარს.**

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთი მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალების **6 (ექვსი)** თვის პარკირების საფასური შეადგენს **25 (ოცდახუთი)** ლარს.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. ვადები: პარკირების სისტემაში გააქტიურება განხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან **2** დღის ვადაში, ხოლო მომსახურების გაწევა იწარმოებს გააქტიურებიდან **6 (ქვსი)** თვის განმავლობაში.

3.2. ადგილი: მომსახურების გაწევა ხორციელდება ქ. თბილისის ტერიტორიაზე.

4. ინსპექტირების პირობები

შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას განახორციელებს **სსიპ „იუსტიციის სახლი“-ს ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ლოჯისტიკის სამსახური.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ხელშეკრულების 1.2. ქვეპუნქტში მითითებული მანქანის პარკირების სისტემაში გააქტიურების შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების მე–4 პუნქტით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

6.ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

6.1.1. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

6.1.2. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ერთიანად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე, დოკუმენტების წარმოდგენიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1 უზრუნველყოს მომსახურების გაწევა მხოლოდ ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებულ ავტომანქანაზე, წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი პირობების შესაბამისად.

7.1.2. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა უზრუნველყოს საკუთარი სახსრებით;

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.2.2. წერილობითი ფორმით, გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის დროს აღმოჩენილი წუნის შესახებ, წუნდების მიზეზების მითითებით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადების გადაცდენისათვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზით ხელშეკრულების შეწტყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს პირგასამტეხლო მიმწოდებელს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულებაში ცვლილება დაიშვება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

9.2.ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს თავდაპირველი სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ფარგლებში, სხვა რისკებს იღებს მიმწოდებელი.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

10.1.1. შემსყიდველის მხრიდან მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევი მხარისათვის წერილობითი შეტყობინებით;

10.1.2. ერთ-ერთი მხარის მიერ წინასწარი წერილობითი შეტყობინებით თუკი მეორე მხარე სისტემატიურად ან/და ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;

10.1.3. მხარეთა ურთერთშეთანხმებით.

10.2. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულება დადებულია და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მორიგებით.

11.3. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი

ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის წინამდებარე **ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

14. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია **სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი–შემსყიდველს.**

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ „იუსტიციის სახლი“	**შპს „სი-ტი პარკ“**
საიდენტიფიკაციო კოდი: **204 580 202**	საიდენტიფიკაციო კოდი: 204 543 770
მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ.2	მისამართი: ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. #47
მიმღების დასახელება:	საბანკო რეკვიზიტები:
ხაზინის ერთიანი ანგარიში	„ბანკი რესპუბლიკა“ ც/ფ
კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: REPLGE22
მიმღები ანგარიში/სახაზინო კოდი: 707467520	ა/ა № GE90BR 0000 0106 0861 8945
ავთანდილ კოხრეიძე	**ბინიამინ ლაჰავი**
აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის (ფინანსების დირექტორი) მოვალეობის შემსრულებლი	**გენერალური მენეჯერი**